კენკროვანი კულტურების სექტორი საქართველოში

ივლისი 2023

ია კაცია
უფროსი ასოცირებული მკვლევარი

ირაკლი ურგებაშვილი
ანალიტიკოსი, მკვლევარი

მარიამ ცინცაბაძე
უმცროსი ანალიტიკოსი, მკვლევარი

ირინა კვახაძე
ვიცე პრეზიდენტი , მკვლევარი

შინაარსი

- კენკროვანი კულტურების სექტორის მოკლე მიმოხილვა (5)
- კენკროვანი კულტურების წარმოება საქართველოში (6)
- კენკროვანი კულტურების ბაზრის სტრუქტურა საქართველოში (11)
- საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა (17)
  - წარმოება
  - ექსპორტი
  - იმპორტი
  - ფასები
- სექტორში არსებული გამოწვევები (24)

მთავარი მიგნებები

მრავალფეროვანი კლიმატისა და ნაყოფიერი ნიადაგის გამო საქართველოს ხელსაყრელი პირობები აქვს კენკრის სხვადასხვა სახეობის მოსაყვანად. საქართველოში კენკრის პოპულარული სახეობებია მარწყვი, ჟოლო, მაყვალი და მოცვი.

საწყის ეტაპზე კენკრა საკუთარი მოხმარებისთვის, მცირე რაოდენობებით იწარმოებოდა. თუმცა, ბოლო წლებში, ქართველ ფერმერებში კენკროვანი კულტურებისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება. ასევე, გაზრდილია კენკროვნებზე მოთხოვნა, როგორც ადგილობრივ, ასევე - საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოდან 2022 წელს დაახლოებით 9 მლნ დოლარის ღირებულების, 1 583 ტონა კენკრა გავიდა ექსპორტზე. ექსპორტზე გასული კენკრის ღირებულება და რაოდენობა 2021 წელთან შედარებით 46%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ექსპორტირებული კენკრის მთლიანი რაოდენობის თითქმის 86%-ს მოცვის ექსპორტი წარმოადგენს.

საქართველოდან კენკროვანი კულტურების ექსპორტი დაახლოებით 10 ქვეყანაში ხდება, თუმცა, მთავარი სარეალიზაციო ბაზარი რუსეთია. სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდება ექსპორტის 90%.

დანარჩენ კულტურებთან შედარებით განსაკუთრებით მზარდია მოცვის წარმოება. წინასწარი შეფასებებით, 2023 წლისთვის ახალი მოცვის საექსპორტო მოცულობა 3000 ტონას მიაღწევს, ხოლო 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელით 5000 ტონას გაუტოლდება.

რაც შეეხება მარწყვს, წარმოება წლების განმავლობაში დიდი მერყეობით ხასიათდება, მოსავლის ყველაზე დიდი ოდენობა კი 2017 წელს დაფიქსირდა - 2.7 ათასი ტონა. 2018 წლიდან მარწყვის წარმოება წინა წლებთან შედარებით შემცირებულია და წლიურად საშუალოდ 1.25 ათასი ტონა იწარმოება. ადგილობრივი ბაზარზე მარწყვზე გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება თურქეთიდან იმპორტირებული მარწყვით ხდება.

შენელებულია ინტერესი ჟოლოს და მაყვლის ბაღების გაშენების მიმართულებით. კენკრის მწარმოებელთა ასოციაციის ინფორმაციით, მაყვლის ბაღების 50%-ზე მეტი, ხოლო ჟოლოს ბაღების 40% 2022 წელს გაიჩეხა. ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: დარგში არსებული ცოდნის და გამოცდილების სიმწირემ, ფერმერების მიერ გაკეთებულმა არასწორმა გათვლებმა, არასწორმა მოლოდინებმა გასაყიდ ფასზე და მოვლის ხარჯებზე, არასწორად შერჩეულმა ჯიშებმა და წარმოების პროცესში არსებულმა სხვა გამოწვევებმა.

შეჯამება

	მოცვი	მარწყვი	ჟოლო	მაყვალი
უმსხვილესი მწარმოებელი	🇺🇸 აშშ	🇨🇳 ჩინეთი	🇷🇺 რუსეთი	🇺🇸 აშშ
გლობალური წარმოების მოცულობა და ცვლილება, 2021 წელი	**1.1** **მილიონი ტონა** +11.8% წ/წ	**9.1** **მლნ. ტონა** +3.1% წ/წ	**886** **ათასი ტონა** -1.4% წ/წ	**1.1** **მლნ. ტონა** +27.14% წ/წ
უმსხვილესი ექსპორტიორი	🇵🇪 პერუ	🇪🇸 ესპანეთი	🇲🇽 მექსიკა	
გლობალური ექსპორტის ღირებულება და ცვლილება 2022 წელი	**$917** **მილიონი** +8% წ/წ	**$1.03** **მილიარდი** +2% წ/წ	**$5.37** **მილიარდი** -1.94% წ/წ	
საშუალო საცალო ფასი გლობალურად (კგ) 2022 წელი	**$5.1**	**$4.3**	**$5.2**	**$11.7**
ადგილობრივი ფასი* 2022 წელი	**₾7-9**	**₾5-7**	**₾7-9**	**₾5-7**
საქართველოში წარმოების მოცულობა 2022 წელი	**2.5** **ათასი ტონა***	**1.2** **ათასი ტონა**	**1.3** **ათასი ტონა**	**0.2** **ათასი ტონა***

წყარო: საქსტატი, Tridge, 2023
*მონაცემები ეყრდნობა ექსპერტთა შეფასებებს

კენკროვანი კულტურების სექტორის მოკლე მიმოხილვა

კენკრის წარმოება საქართველოში თანდათან სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი სექტორი ხდება. საქართველოში კენკრის წარმოებისთვის ხელსაყრელი კლიმატური პირობებია, რაც ხელს უწყობს კენკრის სხვადასხვა სახეობის გაშენებას.

საწყის ეტაპზე კენკრა საკუთარი მოხმარებისთვის, მცირე რაოდენობებით იწარმოებოდა. თუმცა, ბოლო წლებში, ქართველ ფერმერებში კენკროვანი კულტურებ-სადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება. ასევე, გაზრდილია კენკროვნებზე მოთხოვნა, როგორც ადგილობრივ, ასევე - საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოში კენკრის პოპულარული სახეობებია მარწყვი, ჟოლო, მაყვალი, მოცვი. კენკრა გაშენებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, მიკროკლიმატის და ნიადაგის ტიპების შესაბამისად.

ქართული კენკრის ექსპორტი ბოლო წლებში სტაბილურად იზრდება, საერთაშორისო ბაზრებზე მოთხოვნის ზრდის კვალდაკვალ.

საქართველოდან 2022 წელს დაახლოებით 9 მლნ დოლარის ღირებულების, 1 583 ტონა კენკრა გავიდა ექსპორტზე. ექსპორტზე გასული კენკრის ღირებულება და რაოდენობა 2021 წელთან შედარებით 46%-ით გაიზარდა.

დაახლოებით 10 ქვეყანაში ხდება კენკროვანი კულტურების ექსპორტი საქართველოდან, თუმცა, მთავარი სარეალიზაციო ბაზარი რუსეთია. სწორედ ამ მიმართულებით ხორციელდება ექსპორტის 90%.

დანარჩენ კენკროვან კულტურებთან შედარებით სწრაფად იზრდება მოცვის წარმოების მიმართ ინტერესი საქართველოში და შესაბამისად მზარდია ექსპორტიც.

აღსანიშნავია რომ ექსპორტირებული კენკრის მთლიანი რაოდენობის თითქმის 86%-ს მოცვის ექსპორტი წარმოადგენს.

დიაგრამა 1. კენკროვანების ექსპორტის ჯამური ღირებულება და რაოდენობა
მარცხენა ღერძი - ტონა; მარჯვენა ღერძი - მლნ აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი, 20223

კენკროვანი კულტურების წარმოება საქართველოში

წარმოება: მარწყვი და ჟოლო

კენკროვანი კულტურებიდან მარწყვის წარმოებას შედარებით დიდხნიანი ისტორია აქვს საქართველოში, თუმცა, ის ძირითადად, საოჯახო მეურნეობებში საკუთარი მოხმარებისთვის და ადგილობრივი ბაზრისთვის იყო განკუთვნილი. დღეს უკვე მრავლადაა მარწყვის კომერციული, ღია გრუნტის ბაღები და სათბურები, რომლებიც პროდუქციით ადგილობრივ და საზღვარგარეთის ბაზრებს ამარაგებენ.

მარწყვის წარმოება წლების განმავლობაში დიდი მერყეობით ხასიათდება, მოსავლის ყველაზე დიდი ოდენობა კი 2017 წელს დაფიქსირდა - 2.7 ათასი ტონა. 2018 წლიდან მარწყვის წარმოება წინა წლებთან შედარებით შემცირებულია და წლიურად საშუალოდ 1.25 ათასი ტონა იწარმოება.

ბოლო წლების განმავლობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ახალი ტექნოლოგიების, აგრო განათლების, ხარისხიანი ნერგების ნაკლებობის გამო ფერმერები ვერ იღებენ იმ რაოდენობისა და ხარისხის მოსავალს რომ იმპორტირებულ მარწყვს კონკურენცია გაუწიოს. შესაბამისად, საქართველოში მარწყვის სათბურები იხსნება და კომერციულად არამომგებიანების გამო მალევე იხურება. განსაკუთრებით რთულია სიტუაცია ღია გრუნტის ბაღების შემთხვევაში, როდესაც არახელსაყრელი ამინდის გამო, მკვეთრად უარესდება მარწყვის ხარისხი.

საქართველოში, ჟოლოს წარმოება, მარწყვის წარმოების მსგავსად წლების განმავლობაში, უმეტესად შიდა მოხმარებისა და ადგილობრივი ბაზრისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა, ბოლო წლებში ჟოლოს ექსპორტის ეტაპობრივი ზრდა შეინიშნება.

რაც შეეხება ჟოლოს წარმოებას, მონაცემების თანახმად, წარმოება ზრდადი ტენდენციით ხასიათდება და 2022 წელს მოსავლის რეკორდული მაჩვენებელი - 1.2 ათასი ტონა დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტია.
აღსანიშნავია, რომ გაშენებული ბაღების დიდი ნაწილი ჯერ სრულ მსხმოიარებაში არ არის შესული.

დიაგრამა 2. კენკროვანი კულტურის წარმოება, ათასი ტონა



წყარო: საქსტატი, FAOSTAT, 2023

კენკროვანი კულტურების წარმოება საქართველოში

წარმოება: მოცვი და მაყვალი

მოცვის წარმოება საქართველოში ბოლო წლებში სტაბილურად იზრდება. ქვეყნის ხელსაყრელმა კლიმატმა და მოსავლის შესაფერისმა პირობებმა ხელი შეუწყო მოცვის კულტივაციის გაფართოებას. იმატებს მოცვის ნარგავებით გაშენებული ნაკვეთების მოცულობა და მასთან ერთად მოცვის მოსავალიც.

ოფიციალური სტატისტიკა მოცვისა და წარმოების შესახებ არაა ხელმისაწვდომი. თუმცა, მოცვის ასოციაციის შეფასებით 2022 წელს საქართველოში მოცვის წარმოებამ დაახლოებით 2000-2500 ტონა შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოების მაჩვენებელი მზარდია და 2023 წელს მინიმუმ 3000 ტონა მოცვის მოსავალს ელოდებიან, რაც წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვანი, 50%-იანი ზრდაა.

საქართველოში მოცვის წარმოებაში ჩართულია ბევრი მცირე ფერმერი და რამდენიმე მსხვილი მწარმოებელი. ბოლო პერიოდში იმატა ინტენსიური ბაღები რაოდენობამ და ინვესტიციებმა ამ მიმართულებით.

სხვა კენკროვანებთან ერთად, საქართველოში მაყვლის წარმოებაც სულ უფრო მატულობს ბოლო წლებში .

საქართველოში მაყვლის წარმოების უმეტესი ნაწილი განკუთვნილია შიდა მოხმარებისა და ადგილობრივი ბაზრისთვის. თუმცა, მზარდი ტენდენცია შეინიშნება მაყვლის ექსპორტში, რადგან მაყვალზე მოთხოვნა იზრდება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მაყვლის შემთხვევაშიც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები წარმოების შესახებ არაა ხელმისაწვდომი, თუმცა კენკრის მწარმოებელთა ასოციაციის შეფასებით საქართველოში 2023 წელს მაყვლის წარმოება დაახლოებით 200 ტონას შეადგენდა.

კენკრის მწარმოებელთა ასოციაციის მიხედვით, მხოლოდ კახეთში 2021 წელს სულ მცირე 170 ტონა მაყვალი იწარმოებოდა, რაც ამ რეგიონისთვის, გასულ სეზონთან შედარებით, დაახლოებით 70%-იანი ზრდა იყო. თუმცა დარგში არსებულმა პრობლემებმა, მოსალოდნელზე დაბალმა ფასმა განაპირობა მაყვლის წარმოების რადიკალურად შემცირება. როგორც კახეთში, ასევე - სხვა რეგიონებში მაყვლის ბაღები გაიჩეხა ან შეჩერდა წარმოება.

დიაგრამა 3. მოცვის და მაყვლის წარმოება 2022 წელს

მოცვის წარმოება	მაყვლის წარმოება
2000-2500 ტონა	**200** ტონა

წყარო: კენკრის მწარმოებელთა ასოციაცია, 2023

კენკროვანი კულტურების წარმოება საქართველოში

ფართობი

კენკროვანი კულტურების გაშენებას ხელს უწყობს სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტი „დანერგე მომავალი“. პროგრამის ფარგლებში ასეულობით ჰექტარზე გაშენდა კენკროვანი კულტურები.

პროგრამით მოსარგებლეთა შორის პოპულარობით სარგებლობს მოცვის კულტურა და გაშენებული ბაღების ფართობების 71% მოცვის კულტურას წარმოადგენს. თუ დავაკვირდებით დინამიკას, ბაღები მეტად აქტიურად შენდება ბოლო წლების განმავლობაში და პროგრამით გაშენებული მოცვის ფართობები წლიურად 74% იზრდება. გარდა პროგრამით გაშენებული ბაღებისა, აქტიურად შენდება მოცვი კერძო ინვესტიციებითაც. სავარაუდოა, რომ მოცვის პლანტაციები გაცილებით მეტია, ვიდრე - პროგრამით დაფინანსებული ფართობები.

რაც შეეხება ჟოლოს, გაშენებულია 700 ჰექტარი ჟოლოს ბაღი. პროგრამით გაშენებული ფართობების ზრდის ტემპი ყველაზე მაღალი იყო 2017-2019 წლებში, ხოლო ბოლო პერიოდში გაშენებული ჟოლოს ბაღებში კლების ტენდენცია შეინიშნება.

თავდაპირველად ჟოლოს თითქმის ყველა რეგიონში აშენებდნენ. თუმცა, ზოგ რეგიონში ამ კულტურამ ნაკლებად გაამართლა, შესაბამისად გაშენების ტემპმა იკლო. ასევე, დარგში ცოდნის და გამოცდილების ნაკლებობამ განაპირობა წარუმატებლობა რიგი ბაღების შემთხვევაში, რამაც ამ მიმართულებით ინტერესი შეანელა.

პროგრამის ფარგლებში, დანარჩენ კულტურებს შორის ყველაზე ნაკლები მაყვლის ბაღია გაშენებული. 2015 წლიდან 2022 წლის ჩათვლით სულ გაშენებულია 288 ჰექტარი მაყვალი. უნდა, აღინიშნოს რომ ინტერესი მაყვლის ბაღის გაშენების მიმართ კლებულობს ბოლო წლებში. 2021 წელს 26%-ით ნაკლები და 2022 წელს 59%-ით ნაკლები მაყვლის ბაღი გაშენდა წინა წლებთან მიმართებაში.

კენკრის მწარმოებელთა ასოციაციის ინფორმაციით, მაყვლის ბაღების 50%-ზე მეტი, ხოლო ჟოლოს ბაღების 40% 2022 წელს გაიჩეხა. ეს რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: დარგში არსებული ცოდნის და გამოცდილების სიმწირემ, ფერმერების მიერ გაკეთებულმა არასწორმა გათვლებმა, არასწორმა მოლოდინებმა გასაყიდ ფასზე და მოვლის ხარჯებზე, არასწორად შერჩეულმა ჯიშებმა და წარმოების პროცესში არსებულმა სხვა გამოწვევებმა.

დიაგრამა 4. დანერგე მომავლის ფარგლებში გაშენებული ბაღები (2015-2022წლები), ფართობი (ჰა)



წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო, 2022

კენკროვანი კულტურების წარმოება საქართველოში

გადამუშავება და შემნახველი ინფრასტრუქტურა

სექტორში ერთ-ერთი მნიშვნელოვან გამოწვევად გადამამუშავებლების და სამაცივრე ინფრასტრუქტურის ნაკლებობა სახელდება.

შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით სულ დაფინანსებულია 239 გადამამუშავებელი და 254 სამაცივრე ინფრასტრუქტურა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადამამუშავებლები და სამაცივრე მეურნეობები მოიცავს ჯამურად ყველა ხილს და სპეციფიკურად კენკროვან კულტურებზე მორგებული ინფრასტრუქტურის რაოდენობა მცირეა.

დანერგე მომავლის პროექტში დაფინანსებული გადამამუშავებლების თითქმის 54% სამეგრელოს რეგიონშია. შემდეგ მოდის კახეთის რეგიონი 15%იანი წილით. დანარჩენ რეგიონებში გადამამუშავებელთა რაოდენობა შედარებით მცირეა.

შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში ყველაზე მეტი სამაცივრე მეურნეობა დაფინანსებულია შიდა ქართლის რეგიონში. 2019 წლიდან 2022 წლამდე შიდა ქართლში დაფინანსდა 103 სამაცივრე მეურნეობა.

სამაცივრე მეურნეობების რაოდენობით მეორეა კახეთის რეგიონი, სადაც დაფინანსებულია 77 მეურნეობა.

სამაცივრე მეურნეობების და გამაგრილებელი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს დარგში მყოფი ფერმერებისთვის. განსაკუთრებით შეფერხებულია ხელმისაწვდომობა მცირე ზომის ფერმერებისთვის, რადგან სამაცივრე მეურნეობის ინფრასტრუქტურის მოწყობა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. არსებობს სამაცივრე მეურნეობები რომლებიც გაციება-გაყინვის სერვისს სთავაზობენ ფერმერებს, თუმცა მაღალი ფასის გამო ფერმერები ვერ ახერხებენ ამ სერვისის გამოყენებას.

შესაბამისად, პატარა ფერმერები მოსავლის აღებისთანავე ყიდიან მოსავალს, პროდუქციის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად. ხშირ შემთხვევაში პატარა ფერმერებისთვის გამოსავალია სხვა ფერმერებთან კოოპერაცია და ინფრასტრუქტურის ერთობლივად განვითარება, ან მანქანა სამაცივრეს შეძენა, რათა დროულად შეძლონ პროდუქციის გაგრილება და გაყიდვა.

დიაგრამა 5. შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში თანადაფინანსებული ხილის გადამამუშავებლები და შემნახველი ინფრასტრუქტურა



წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო, 2023

კენკროვანი კულტურების წარმოება საქართველოში

ფართობი: რეგიონული გადანაწილება

როგორც აღინიშნა, სხვა კენკროვან კულტურებთან შედარებით, **მოცვი** საქართველოში ყველაზე ფართოდ გავრცელებული კენკროვანი კულტურაა. სოფლის განვითარების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით, 2023 წლისთვის მოცვი გაშენებულია 2 360 ჰექტარზე.

მოცვი, ძირითადად, მოჰყავთ სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, აჭარის და გურიის რეგიონებში. მოწინავე რეგიონი სამეგრელოა. „დანერგე მომავლის“ პროექტით დაფინანსებული ბაღების დიდი ნაწილი (61%) სწორედ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონშია გაშენებული.

რაც შეეხება **მაყვალს**, წარმოებით წამყვანი რეგიონია იმერეთი, სადაც კონცენტრირებულია მთლიანი წარმოების 33%.

პროექტის ფარგლებში სულ გაშენებულია 288 ჰექტარი მაყვლის ბაღი.

მაყვალი ძირითადად იწარმოება იმერეთის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის და ქვემო-ქართლის რეგიონებში.

ჟოლო ბაღები უფრო მეტად გაშენებულია იმერეთში და შიდა ქართლი. სწორედ ამ რეგიონებშია ჟოლოს ბაღების 70%-ი.

„დანერგე მომავლის“ ფარგლებში არ ფინანსდება **მარწყვის**, როგორც ერთწლიანი კულტურის ბაღები. თითქმის ყველა რეგიონში ვხვდებით მარწყვის სათბურებს.

დიაგრამა 7. ჟოლოს ბაღების რეგიონული განაწილება ფართობების მიხედვით, 2022 წელი



დიაგრამა 6. მოცვის ბაღების რეგიონული განაწილება ფართობების მიხედვით, 2022 წელი



დიაგრამა 8. მაყვლის ბაღების რეგიონული განაწილება ფართობების მიხედვით, 2022 წელი



წყარო: სოფლის განვითარების სააგენტო, 2023

კენკროვანი კულტურების ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

ექსპორტი მარწყვი

მარწყვის ექსპორტმა ყველაზე მაღალ ნიშნულს 2017 წელს მიაღწია, როცა ექსპორტზე 393 ტონა ახალი მარწყვი გავიდა, შედეგად კი ქვეყანამ დაახლოებით 200 ათასი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, თუმცა, ექსპორტის მოცულობის 64% რეექსპორტს წარმოადგენდა.

2023 წლის 5 თვის მონაცემებით, საქართველოდან ექსპორტირებულია 200.9 ტონა ახალი მარწყვი და ხენდრო, რომლის ღირებულებამ 276 ათასი დოლარი შეადგინა. მიუხედავად არასრული კალენდარული წლისა, 2023 წელს რეკორდულად მაღალი ადგილობრივი ექსპორტი დაფიქსირდა. პირველ 5 თვეში ექსპორტირებულია 189 ტონა ახალი მარწყვი, შემოსავლის სახით კი საქართველომ 250 ათასი აშშ დოლარი მიიღო. პროდუქციის 91% სომხეთში, ხოლო 9% რუსულ ბაზარზე გაიყიდა.

ახალი მარწყვის ადგილობრივი ექსპორტი მკვეთრი სეზონურობით ხასიათდება და ძირითადი საექსპორტო ნაკადები აპრილი-მაისის თვეებშია, თუმცა, 2022-2023 წლებში, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტი ზამთრის თვეებშიც განხორციელდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დახურული გრუნტის ტიპის სათბურების გათბობა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, თუმცა, სათბურების გეოთერმული ენერგიით გათბობა პროდუქციის წარმოების ხარჯებს ამცირებს. დამატებით, ბაზარზე ინერგება ინოვაციური მიდგომები დახურული გრუნტის სათბურებისთვის, როგორიცაა მარწყვის ჰიდროპონიკის საშუალებით მოყვანა, რაც საწარმოო ხარჯებს ამცირებს და ზამთრის თვეებში მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა.

დიაგრამა 9. ექსპორტირებული ახალი მარწყვის რაოდენობა და ღირებულება
მარცხენა ღერძი - ტონა; მარჯვენა ღერძი - '000 აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი, 2023

კენკროვანი კულტურების ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

საგარეო ვაჭრობა: ახალი მარწყვი

ახალი მარწყვის საშუალო წლიური საექსპორტო ფასი მერყეობით ხასიათდება, თუმცა, პანდემიური პერიოდის შემდეგ, საშუალო წლიური ფასი დაახლოებით სამჯერაა გაზრდილი და 2023 წლის არასრული მონაცემებზე დაყრდნობით, $1.38-ს შეადგენს 1 კილოგრამზე.

ქართული ახალი მარწყვის ძირითადი მომხმარებელი, ტრასპორტირების სიმარტივიდან გამომდინარე, რუსეთის და სომხეთის ბაზარია, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა კი ერთჯერადია ან მცირე მოცულობით ხორციელდება.

საერთაშორისო ბაზრების გარდა მარწყვის ბიზნესს საქართველოშიც დიდი პოტენციალი აქვს. იმპორტირებულ მარწყვთან შედარებით მაღალი ფასის მიუხედავად, ქართულ მარწყვზე ადგილობრივ ბაზარზეც მაღალი მოთხოვნაა.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ ერთ-ერთი მიმზიდველი საექსპორტო მიმართულება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებია. აღნიშნული რეგიონი გაჯერებულია აშშ-დან იმპორტირებული მარწყვით, რომლის ნაწილის ჩანაცვლება, გარკვეული საბაზრო უპირატესობებით, კერძოდ კი, გეოგრაფიული მდებარეობით და ტრანსპორტირების დროის სიმცირით, მარტივად შეიძლება.

თუმცა მოსავალი დახურული გრუნტის ტიპის სათბურებში მცირეა, გათბობის ხარჯების გათვალისწინებით, შესაბამისად რთულია არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება.

დარგში ბევრი გამოწვევაა, რომელთა შორისაა: მაღალი კომუნალური დანახარჯები სათბურების შემთხვევაში, პროდუქციის ხარისხი, კვალიფიციური კადრების დეფიციტი.

დიაგრამა 10. ახალი მარწყვის და ხენდროს საექსპორტო ღირებულება (აშშ დოლარი/კგ)



დიაგრამა 11. ძირითადი საექსპორტო ქვეყნები



წყარო: საქსტატი, 2023

კენკროვანი კულტურების ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

ახალი მარწყვი: საგარეო ვაჭრობა

2022 წლისთვის საქართველომ 743 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 2589 ტონა ახალი მარწყვი შეიძინა უცხოეთიდან, ზრდა 2021 წელთან შედარებით, მოცულობის თვალსაზრისით, 94%-ია.

საქართველოში მარწყვის მთავარი იმპორტიორი თურქეთია. 2023 წლის ხუთი თვის მონაცემებით კი, იმპორტირებულია 784 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 2905 ტონა ახალი მარწყვი.

რაც შეეხება ახალი მარწყვის საშუალო

დიაგრამა 12. იმპორტირებული ახალი მარწყვის მოცულობა და ღირებულება
მარცხენა ღერძი - ტონა; მარჯვენა ღერძი - '000 აშშ დოლარი



წლიურ საიმპორტო ფასს, ის 2018 წელთან შედარებით 40%-ითაა შემცირებული და 2023 წლის ხუთი თვის მონაცემებით კილოგრამზე 0.27 აშშ ცენტს შეადგენს.

თურქეთის კლიმატური პირობები აიაფებს სათბურებში წარმოების ხარჯებს და მარწყვის იმპორტი თურქეთიდან თითქმის მთელი წლის განმავლობაშია შესაძლებელი. ხშირ შემთხვევაში თურქული მარწყვი ადგილობრივ წარმოებას ფასით და, გარკვეულ შემთხვევებში, ხარისხითაც კი უწევს კონკურენციას.

დიაგრამა 13. ახალი მარწყვის და ხენდროს საიმპორტო ღირებულება (აშშ დოლარი/კგ)



დიაგრამა 14. ახალი მარწყვის იმპორტი თურქეთიდან თვეების მიხედვით, ტონა.



წყარო: საქატატი, 2023

კენკროვანი კულტურების ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

ახალი მოცვი: საგარეო ვაჭრობა

2022 წელს საქართველოდან 8.5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 1393 ტონა მოცვი გავიდა. 2021 წელთან შედარებით, საქართველომ ექსპორტირებული პროდუქტის რაოდენობა 46%-ით, ხოლო მიღებული შემოსავალი 50%-ით გაზარდა. მოცვის მწარმოებელთა ასოციაციის შეფასებით, 2023 წლისთვის ახალი მოცვის საექსპორტო მოცულობა 3000 ტონას მიაღწევს, ხოლო 2024 წლის საპროგნოზო მაჩვენებელით 5000 ტონას გაუტოლდება. ზრდა შემდეგ წლებშიც გაგრძელდება, ვინაიდან იზრდება ძველი ბაღების წარმადობა და ასევე შენდება ახალი ბაღები.

1 კილოგრამი ახალი მოცვის საშუალო საექსპორტო ფასი წლების განმავლობაში სტაბილურად მზარდია და 2022 წლისთვის 6.1 აშშ დოლარს მიაღწია. შედარებისთვის, 2018 წელს საშუალო საექსპორტო ფასი 4.3 აშშ დოლარს შეადგენდა. შესაბამისად, 2018-2022 წლების განმავლობაში საშუალო საექსპორტო ფასი CAGR 9%-ით გაიზარდა.

2022 წელს საექსპორტო მოცულობის თითქმის 92% რუსეთში გავიდა და მიმდინარე შეფასებით, 2023 წელსაც საკმაოდ მაღალი წილი ექნება. ამის მიზეზად, ძირითადად, მცირე მეურნეობები და მათ მიერ წარმოებული არაერთგვაროვანი და მცირე ოდენობის პროდუქცია, ევროპის ბაზრისთვის არსებული სერტიფიკატების არარსებობა და ტრანსპორტირების სიმარტივე სახელდება.

დიაგრამა 16. ძირითადი საექსპორტო ბაზრები



დიაგრამა 15. ექსპორტირებული ახალი მოცვის რაოდენობა და ღირებულება მარცხენა ღერძი - ტონა; მარჯვენა ღერძი - '000 აშშ დოლარი



დიაგრამა 17. ახალი მოცვის საექსპორტო ღირებულება (აშშ დოლარი/კგ)



წყარო: საქსტატი, 2023

კენკროვანი კულტურების ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

ახალი მოცვი: საგარეო ვაჭრობა

ექსპერტთა შეფასებით, დღეს არსებული მეურნეობების დაახლოებით ნახევარი მცირე ფართობებზე გაშენებულ ბაღებზე მოდის, რომლებიც ევროპულ და აზიურ ბაზრებზე შესასვლელად საკმარისი რაოდენობის პროდუქციას ვერ აწარმოებენ, ამასთან, აღნიშნული ბაზრებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში, მიუღებელია მცირე ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის ზომა და გემოვნური თვისებები. შესაბამისად, ამ პროდუქციით, ძირითადად,, ადგილობრივი ბაზარი მარაგდება. თუმცა, ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მცირე ფერმერები ქმნიან კოოპერატივებს და ჰომოგენური პროდუქციის მსხვილი მოცულობებით წარმოებას, რათა ევროპულ და სხვა, სტაბილურ ბაზრებზე ექსპორტი შეძლონ.

2022 წლის განმავლობაში იმპორტირებულია 618 ათასი აშშ დოლარის 70.4 ტონა ახალი მოცვი, ხოლო 2023 წლის პირველ 5 თვეში საქართველომ 591 ათასი აშშ დოლარის ღირებულების დაახლოებით 50 ტონა მოცვი შეიძინა. 2022 წლისთვის 1 კილოგრამი ახალი მოცვის საშუალო საიმპორტო ფასი 8.8 აშშ დოლარია, ხოლო 2023 წლისთვის 11.9 აშშ დოლარს მიაღწია. მოცვის შემთხვევაში ძირითადი საიმპორტო ბაზარი ნიდერლანდებია, სხვა ქვეყნებთან ვაჭრობა კი არარეგულარულია.

დიაგრამა 22. ახალი მოცვის საიმპორტო ღირებულება (აშშ დოლარი/კგ)



დიაგრამა 21. იმპორტირებული ახალი მოცვის რაოდენობა და ღირებულება
მარცხენა ღერძი - ტონა; მარჯვენა ღერძი - '000 აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი

კენკროვანი კულტურების ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

ჟოლო და მაყვალი: საგარეო ვაჭრობა

ახალი ჟოლოს და მაყვლის შედარებით მსხვილი საექსპორტო მოცულობები 2020-2021 წლებში დაფიქსირდა და ვაჭრობა ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა, 2022 წელს ექსპორტის 81%-ით კლება დაფიქსირდა, ვინაიდან ჟოლოსა და მარწყვის მთავარ საექსპორტო ბაზარს რუსეთი წარმოადგენს და 2022 წელს რუსეთიდან თანხის გადმორიცხვის პრობლემებისა და სხვა ქვეყნების მხრიდან რუსეთის ბაზრის დაკავების გამო კენკრა ექსპორტზე ვერ გავიდა. თუ 2021 წელს კენკრის 76% რუსეთში გაიყიდა, 2022 წელს მთავარ საექსპორტო ბაზრად აზერბაიჯანი დაწინაურდა, სადაც ექსპორტის 53% გავიდა, რუსეთში მოსავლის 42%, ხოლო გერმანიაში - 5% გაიყიდა.

რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება საქართველოში წარმოებულმა, შედარებით დაბალი ხარისხის პროდუქციამ განაპირობა. ნერგთა სახეობა და ნაყოფის ხარისხი, სიმწიფის პერიოდი და გემოვნური თვისებები ევროპის ბაზრისთვის არადამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა. დამატებით, ვერ გროვდება კენკრის ის მოცულობა, რაც საჭიროა ალტერნატიულ ბაზრებზე ექსპორტის განსახორციელებლად. შედეგად, ადგილობრივი მოსავალი, ძირითადად, რუსეთში იგზავნება ან ადგილობრივ ბაზარს ნედლი და დამუშავებული სახით მიეწოდება.

იმპორტის თვალსაზრისით, ბოლო პერიოდში მკვეთრად გაზრდილია ახალი ჟოლოსა და მაყვლის იმპორტი და მოთხოვნას თითქმის სრულად თურქეთი აკმაყოფილებს. 2022 წელს იმპორტირებულია 2.76 ათასი აშშ დოლარის ღირებულების 7.64 ტონა ახალი ჟოლო და მაყვალი. ტენდენცია შენარჩუნდა 2023 წლის იანვარი-მაისის პერიოდისთვისაც და ბაზარი 3.66 ათასი დოლარის ღირებულების 12.21 ტონა ახალი ჟოლოთი და მაყვლით სრულად თურქული პროდუქციით შეივსო.

დიაგრამა 23. ჟოლოსა და მაყვლის ექსპორტი.
მარცხენა ღერძი - ტონა; მარჯვენა ღერძი - '000 აშშ დოლარი



დიაგრამა 24. ჟოლოსა და მაყვლის იმპორტი.
მარცხენა ღერძი - ტონა; მარჯვენა ღერძი - '000 აშშ დოლარი



წყარო: საქსტატი, 2023

საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა
წარმოება

კენკროვანი კულტურების გლობალური წარმოება 2015 წლიდან სტაბილურად მზარდია, რაც დიდწილად მსოფლიოში გაზრდილი კენკრის მოხმარებით არის განპირობებული. კენკროვან კულტურებზე დიდი მოთხოვნა აიხსნება კენკრის გემოვნური და ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებებით. ამასთან, განვითარებული საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად, კენკრა ისეთი ქვეყნებისთვისაც ხელმისაწვდომი გახდა, რომელთა კლიმატურ პირობებშიც შეზღუდულია კენკრის წარმოება.

2021 წელს მარწყვის წარმოებამ 9.2 მილიონ ტონას მიაღწია. 2013 წლიდან მარწყვის წარმოება სხვა გაანალიზებულ კენკროვანებთან შედარებით ნაკლებად მერყეევია, ძირითადად ხასიათდება სტაბილური ზრდის ტემპით, რომელმაც 2021 წელს 3.17% შეადგინა წინა წელთან შედარებით.

მოცვი შედარებით ახალ კულტურად შეიძლება ჩაითვალოს. მისი წარმოება, სხვა კენკროვნებთან შედარებით, უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა წლების განმავლობაში. 2019 წელს მოცვის პროდუქცია წინა წელთან შედარებით 28%-ით გაიზარდა და იმ დროისთვის ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. აღნიშნული ზრდა განაპირობა მოცვით განაშენიანებული არეალის სწრაფმა ზრდამ.

ჟოლოსა და მაყვლის შემთხვევაში, ყველაზე მკვეთრი ზრდა 2016 წელს დაფიქსირდა, 22% და 21% წ/წ, შესაბამისად. 2016 წლიდან ზრდის ტემპი შემცირდა, გარკვეულ პერიოდებში კი მცირე კლება დაფიქსირდა, როგორც მაგალითად 2021 წელს ჟოლოს შემთხვევაში, რომლის წარმოებაც წინა წელთან შედარებით 1.41%-ით შემცირდა.

დიაგრამა 27. კენკროვანი კულტურების წარმოება მსოფლიოში (მლნ ტონა)



დიაგრამა 28. კენკროვანი კულტურების წარმოების წლიური ცვლილება წლების მიხედვით



წყარო: FAOstat

შენიშვნა: მონაცემები მაყვლის წარმოებაზე გაერთიანებულია შემდეგ კატეგორიაში: სხვა კენკროვნები, გარდა მარწყვი, ჟოლო, მოცვი, და კოწახური.

საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა
წარმოება: მარწყვი და ჟოლო

მარწყვი მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული კენკროვანია - 2021 წლის მონაცემებით, მარწყვი გაშენებულია 389,665 ჰექტარზე, ხოლო 75-ზე მეტი ქვეყანა აწარმოებს საკმაოდ დიდი რაოდენობის მარწყვს ყოველწლიურად.

მარწყვის წარმოებისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელია ტენიანი, თბილი და ნათელი გარემო პირობები. მარწყვის ყველაზე მსხვილი მწარმოებელი ჩინეთია, რომელსაც წლებია მნიშვნელოვანი წილი უჭირს მარწყვის გლობალურ წარმოებაში. ასევე დიდ წილს შეადგენენ ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები, კერძოდ აშშ და მექსიკა, რომელთა წილმაც 2021 წელს 13% და 6% შეადგინა, შესაბამისად. ამასთან, 2020 წელს აშშ-ს წილი 11%-დან 14%-მდე გაიზარდა, ხოლო მექსიკის წილი შემცირდა 10%-დან 6%-მდე. მსხვილ მწარმოებელთა შორის ასევე აღსანიშნავია თურქეთი და ეგვიპტე.

ჟოლოსთვის ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს საშუალო ტემპერატურა და სინათლის ჭარბი რაოდენობა. ჟოლოს უმსხვილესი მწარმოებელი რუსეთია, რომლის წილმაც 2021 წელს მსოფლიო წარმოების 22% შეადგინა. სხვა მსხვილი მწარმოებლებია: მექსიკა (19%), სერბეთი (12%),პოლონეთი (12%), და აშშ (9%). მარწყვთან შედარებით, ჟოლოს გლობალური წარმოება მეტად კონცენტრირებულია 5 უმსხვილეს მწარმოებელში.

დიაგრამა 29. მარწყვის წარმოება ქვეყნების მიხედვით (მლნ ტონა)



დიაგრამა 30. ჟოლოს წარმოება ქვეყნების მიხედვით (მლნ ტონა)



წყარო: FAOstat

საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა
წარმოება: მოცვი და მაყვალი

მოცვის კომერციული კულტივაცია სხვა კენკროვნებთან შედარებით გვიან დაიწყო, შესაბამისად, ის ახალ კულტურად შეიძლება ჩაითვალოს. მოცვის ფართოდ განაშენიანება ჩრდილოეთ ამერიკიდან დაიწყო, რომლის კლიმატური პირობებიც განსაკუთრებით ხელსაყრელია მოცვის წარმოებისთვის.

აშშ მოცვის გლობალურ წარმოებაში ყველაზე დიდ წილს იკავებს. 2021 წელს, აშშ-ს წილმა მსოფლიო პროდუქციის 32% შეადგინა. ასევე აღსანიშნავია კანადა, რომელიც გაანალიზებულ პერიოდში მოცვის რიგით მესამე უმსხვილესი მწარმოებელია, 2021 წელს კი კანადამ დაახლოებით 147 ათასი ტონა მოცვი აწარმოა. 2021 წელს, ჩრდილოეთ ამერიკის რეგიონიდან ყველაზე დიდ მწარმოებლებს ასევე შეუერთდა მექსიკა, რომელმაც მოცვის გლობალური წარმოების 6% დაიკავა. აღსანიშნავია, რომ მოცვის მსოფლიო ბაზარი საკმაოდ კონცენტრირებულია, 2021 წელს ხუთმა უდიდესმა მწარმოებელმა მსოფლიოში ჯამური წარმოების 88%-ს შეადგენდა.

მაყვალს* ძირითადად აწარმოებენ ქვეყნები, სადაც თბილი კლიმატური პირობებია. უმსხვილესი მწარმოებელია მექსიკა, რომლის წილმაც 20% შეადგინა 2021 წელს. ასევე მნიშვნელოვანია პოლონეთის გაზრდილი როლი გლობალურ წარმოებაში, რომელმაც 2020 და 2021 წელს ჩაანაცვლა თურქეთი უმსხვილესი მწარმოებლების სიაში.

დიაგრამა 31. მოცვის წარმოება ქვეყნების მიხედვით (ტონა)



დიაგრამა 32. მაყვლის* წარმოება ქვეყნების მიხედვით



წყარო: FAOstat

შენიშვნა: მონაცემები მაყვლის წარმოებაზე გაერთიანებულია შემდეგ კატეგორიაში: სხვა კენკროვნები, გარდა მარწყვი, ჟოლო, მოცვი, და კოწახური

საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა
საერთაშორისო ვაჭრობა

კენკროვნების ყველაზე დიდ ექსპორტიორს ტაილანდი წარმოადგენს, რომელმაც ბაზრის ლიდერი ვიეტნამი 2019 წელს ჩაანაცვლა. ტაილანდის წილი 2021 წელს გლობალურ ექსპორტში 14%-დან 18%-მდე გაიზარდა, ხოლო 2022 წერს ტაილანდური კენკროვანების ექსპორტის ღირებულებამ 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა. მნიშვნელოვან ექსპორტიორებს წარმოადგენენ ასევე ესპანეთი, ახალი ზელანდია, ნიდერლანდები და მექსიკა,

კენკროვნების ყველაზე მსხვილი იმპორტიორი ჩინეთია, რომლის წილიც 24%-ს შეადგენდა 2020 და 2021 წლებში. ასევე მნიშვნელოვანი იმპორტიორი ქვეყნებია აშშ, გერმანია, ნიდერლანდები, კანადა და დიდი ბრიტანეთი.

კენკროვნების ექსპორტი მკვეთრად შემცირდა 2015 წელს, რაც ამ პერიოდში ზოგადად შემცირებული საერთაშორისო ვაჭრობით აიხსნება, რომლის ძირითად გამომწვევ მიზეზს იმ პერიოდში მნიშვნელოვანი ვალუტების აშშ დოლარის მიმართ გაუფასურება წარმოადგენდა. კენკროვნების ექსპორტი 2020 წელს პანდემიის შედეგად 7%-ით შემცირდა, 2021 წელს კი მნიშვნელოვნად, 27%-ით გაიზარდა.

2022 წელს კენკროვნების, ისევე როგორც სხვა ხილისა და თხილეულის საერთაშორისო ვაჭრობა შემცირდა, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად გაზრდილმა ლოგისტიკურმა ხარჯებმა და მომხმარებელთა შეცვლილმა პრეფერენციებმა განაპირობა.

დიაგრამა 33. კენკროვანი კულტურების ტოპ ხუთი ექსპორტიორი (მლრდ აშშ დოლარი)



დიაგრამა 34. კენკროვანი კულტურების ტოპ ხუთი იმპორტიორი (მლრდ აშშ დოლარი)



დიაგრამა 35. კენკროვანი კულტურების ექსპორტის დინამიკა (% წ/წ)



წყარო: Trademap, 2023

საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა
ექსპორტი

მარწყვის საექსპორტო ბაზარზე ლიდერულ პოზიციას მექსიკა იკავებს, რომლის წილმაც მარწყვის ჯამური ექსპორტის 31% შეადგინა 2022 წელს. 2022 წლამდე, ყველაზე მსხვილ ექსპორტიორს ესპანეთი წარმოადგენდა, რომლის წილიც 2022 წელს 27%-ს გაუტოლდა. მარწყვის ექსპორტის ღირებულება 2022 წელს მცირედით შემცირდა, რასაც მარწყვის წამოების მცირედ ზრდას უკავშირებენ. აღსანიშნავია, რომ მარწყვის იმპორტირებული რაოდენობა 2022 წელს 1,035 ათას ტონას აჭარბებდა, რაც 0.2%-ით აღემატება 2021 წლის მონაცემებს.

ჟოლოსა და მარწყვის უმსხვილესი ექსპორტიორები მექსიკა, ესპანეთი და აშშ არიან. 2022 წელს, ჟოლოს სხვა მნიშვნელოვან ექსპორტიორებს წარმოადგენდნენ მოროკო (13%) და პორტუგალია (9%).

მოცვის ექსპორტში განსაკუთრებით დიდი წილი უჭირავს პერუს, რომლის წილიც 2019 წელს 23%-დან 2022 წელს 29%-მდე გაიზარდა. ასევე მნიშვნელოვანი წილი უჭირავს ნიდერლანდებს, ჩილეს, ესპანეთსა და აშშ-ს. გაანალიზებულ პერიოდში მოცვის ექსპორტის ღირებულება მზარდია, თუმცა 2022 წელს ის მცირედით შემცირდა.

დიაგრამა 36. მარწყვის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (მლრდ USD)



დიაგრამა 37. ჟოლოს* ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (მლრდ USD)



დიაგრამა 38. მოცვის** ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (მლრდ USD)



წყარო: FAOstat

შენიშვნა: მონაცემები მაყვლის წარმოებაზე გაერთიანებულია შემდეგ კატეგორიაში: სხვა კენკროვნები, გარდა მარწყვი, ჟოლო, მოცვი, და კოწახური

საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა
იმპორტი

ჩრდილოეთ ამერიკა კენკროვნების ერთ-ერთი უდიდესი მომხმარებელია. აშშ და კანადა მნიშვნელოვან წილს იკავებენ როგორც მარწყვის, ისე - ჟოლოსა და მოცვის იმპორტში. 2022 წელს, აშშ წარმოადგენდა მარწყვის გლობალური იმპორტის 31%-ს, ჟოლოს 47%-სა და მოცვის 37%-ს.

აშშ-სა და კანადის გარდა, მარწყვის, ისევე როგორც სხვა კენკროვნების მნიშვნელოვან ბაზარს წარმოადგენს ევროპის ქვეყნები. გერმანიაში მარწყვის იმპორტის ღირებულებამ 2022 წელს 348 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, რამაც მარწყვის ჯამური იმპორტის 9% შეადგინა. 2022 წლის მონაცემებით, გერმანიას ასევე დიდი წილი უჭირავს როგორც ჟოლოს (8%), ასევე მოცვის იმპორტში (8%).

ჟოლოსა და მოცვის იმპორტში ასევე დიდ როლს თამაშობს ნიდერლანდები და დიდი ბრიტანეთი. 2022 წელს, ნიდერლანდების წილი მოცვის იმპორტში 13%-ს შეადგენდა, სადაც იმპორტირებული მოცვის ღირებულებამ 672 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. ასევე მნიშვნელოვანია დიდი ბრიტანეთის წილი, რომელიც მოცვის იმპორტის 7%-ს შეადგენს.

დიაგრამა 39. მარწყვის იმპორტი ქვეყნების მიხედვით (მლრდ აშშ დოლარი)



დიაგრამა 40. ჟოლოს* იმპორტი ქვეყნების მიხედვით (მლრდ აშშ დოლარი)



დიაგრამა 41. მოცვის** იმპორტი ქვეყნების მიხედვით (მლრდ აშშ დოლარი)



წყარო: Trademap

*კატეგორიაში ერთიანდება: ახალი ჟოლო, მაყვალი, თუთა და ლოგანის კენკრა

**კატეგორიაში ერთიანდება: ახალი შტოში, მოცვი და Vaccinium გვარის სხვა კენკრა

საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა
ფასი

მარწყვის საიმპორტო ღირებულება 2018 წლიდან 2021 წლის ჩათვლით სტაბილური ზრდით ხასიათდება, თუმცა 2022 წელს წინა წელთან შედარებით მარწყვის ფასი მცირედით, 4%-ით შემცირდა და ამჟამად საშუალოდ 3.66 USD/კგ შეადგენს.

მოცვის საიმპორტო ფასი შედარებით მაღალია, თუმცა ამასთან ხასიათდება მეტი ცვალებადობით. 2022 წელს ერთი კილოგრამი მოცვის ღირებულება 0.43 დოლარით შემცირდა და 5.81 USD/კგ-ს გაუტოლდა, რამაც 7%-იანი წლიური კლება განაპირობა.

დიაგრამა 42. მარწყვისა და მოცვის საიმპორტო ფასი (USD/კგ)



ნიდერლანდებში ჟოლოს ღირებულება ყველაზე მაღალია და 8.4 USD/კგ-ს უტოლდება. ჟოლოს ფასი ასევე მაღალია დიდ ბრიტანეთსა (7.87 USD/კგ) და გერმანიაში (7.55 USD/კგ).

ჟოლოსთან და მარწყვთან შედარებით, მოცვის ფასი ნაკლებად ცვალებადია ქვეყნების მიხედვით. მოცვის ღირებულება განსაკუთრებით მაღალია დიდ ბრიტანეთში, სადაც ის 2022 წლის მონაცემებით 6.14 USD/კგ-ს შეადგენდა. დიდ ბრიტანეთში ასევე მაღალია მარწყვის საიმპორტო ღირებულება, რომელიც 4.46 USD/კგ-ს უტოლდება.

დიაგრამა 43 მარწყვისა და მოცვის საიმპორტო ფასის დინამიკა (% წ/წ)



დიაგრამა 44. ევროპის უმსხვილეს იმპორტიორ ქვეყნებში კენკროვნების საშუალო საიმპორტო ღირებულება , 2022 წელი (აშშ დოლარი/კგ0



წყარო: Trademap

*კატეგორიაში ერთიანდება: ახალი ჟოლო, მაყვალი, თუთა და ლოგანის კენკრა

**კატეგორიაში ერთიანდება: ახალი შტოში, მოცვი და Vaccinium გვარის სხვა კენკრა

***მონაცემთა სიმწირიდან გამო, ჟოლოს ფასის მაჩვენებელი არაბთა გაერთიანებული საამიროებისთვის წარმოადგენს 2021 წლის მონაცემს

სექტორში არსებული გამოწვევები

წარმოებაში არსებული გამოწვევები

- ❖ ადგილობრივი ნერგების დაბალი ხარისხი და არასერტიფიცირებული ნერგები
- ❖ შეზღუდული წვდომა უცხოურ ნერგებზე
- ❖ ნერგის ვირუსების შემსწავლელი ლაბორატორიის არ არსებობა
- ❖ თანამედროვე ტექნოლოგიების ნაკლებობა
- ❖ სარწყავ წყალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა

ცოდნა და გამოცდილება

- ❖ დარგის ექსპერტების ნაკლებობა
- ❖ ზოგადად დარგში ცოდნის ნაკლებობას
- ❖ შეზღუდული წვდომა ინფორმაციაზე

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

- ❖ ბაღების გაშენება დიდ ინვესტიციებთან არის დაკავშირებული
- ❖ მაღალი საინვესტიციო ხარჯები პატარა და საშუალო ფერმერებისთვის დარგში შესვლის ბარიერს წარმოადგენს.

წარმოების შემდგომი პროცესები

- ❖ გადამამუშავებელი და შემნახავი/სამაცივრე ინფრასტრუქტურის სიმწირე კრეფის პერიოდში სამუშაო ძალის ნაკლებობა ბაზარზე

ექსპორტი

- ❖ პროდუქციის ხარისხის არაერთგვაროვნება
- ❖ არასათანადო რაოდენობები
- ❖ საექსპორტო ბაზრების ცოდნის ნაკლებობა
- ❖ სურსათის უვნებლობის სერთიფიკატების დანახარჯები

სამართლებრივი შეტყობინება

წინამდებარე დოკუმენტი („დოკუმენტი“) მომზადებულია და გავრცელებულია შპს „თიბისი კაპიტალის“ („თიბისი კაპიტალი“) მიერ, რომელიც არის TBC Bank Group PLC-ის („ჯგუფი“) წევრი, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. თიბისი კაპიტალი მოქმედებს და ეწევა თავის პროფესიონალურ მომსახურებას საქართველოს ტერიტორიაზე და აქვს სათანადო უფლებამოსილება მოამზადოს და გაავრცელოს დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე. დოკუმენტში არაფერი წარმოადგენს ან შეადგენს შეთავაზებას ან მის ნაწილს ან მოწვევას შეთავაზებაზე ნებისმიერი აქტივის ან ფასიანი ქაღალდის ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის ან გამოწერისთვის და დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს ხელშეკრულებისთვის ან ვალდებულებებისთვის და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც რჩევა რაიმე მსგავსი ქმედებების განხორციელებისთვის. რადგან დოკუმენტის გავრცელება შესაძლოა კანონით აკრძალული იყოს გარკვეულ იურისდიქციებში, პირებს, რომელთა მფლობელობაშიც აღმოჩნდება დოკუმენტი, თიბისი კაპიტალისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რაც იმოქმედებს მათ მიმართ. ვინაიდან, დოკუმენტი მიმართული ან განზრახული არ არის, პირდაპირ ან ირიბად, გავრცელებისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ, რომლებიც იმყოფებიან ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება იქნებოდა კანონ საწინააღმდეგო ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციაში, არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, და არც მათი რომელიმე დირექტორ(ებ)ი, პარტნიორ(ებ)ი, თანამშრომელ(ებ)ი, დაკავშირებული კომპანიები, მრჩეველ(ებ)ი ან აგენტ(ებ)ი („წარმომადგენლები“) იღებენ ნებისმიერი სახის პირდაპირი ან არაპირდაპირი პასუხისმგებლობას ნებისმიერი პირის წინაშე ნებისმიერ იურისდიქციაში დოკუმენტის გამოქვეყნებასთან, გავრცელებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით. დოკუმენტი არ წარმოადგენს საინვესტიციო, ბიზნეს, საგადასახადო ან/და სამართლებრივ რჩევას და არ არის გამიზნული საკრედიტო ან რაიმე სხვა შეფასების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტის მიმღებებს მკაცრად მოეთხოვებათ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. დოკუმენტში მოცემული ნებისმიერი ან ყველა ინფორმაცია შეიძლება შეიცვალოს გაფრთხილების გარეშე და არც თიბისი კაპიტალს, არც ჯგუფის რომელიმე წევრს და არც მათ რომელიმე წარმომადგენელს ეკისრებათ ნებისმიერი სახის ვალდებულება განაახლონ ან შეინარჩუნონ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია. დოკუმენტის გავრცელება, არც ერთ შემთხვევაში გულისხმობს რომ მასში მოცემული ინფორმაცია არის ზუსტი, სწორი ან/და სრული მისი მომზადების თარიღის შემდგომ ან არ მომხდარა ცვლილება შესაბამისი კომპანიების ან ნებისმიერი სხვა პირის ბიზნესში, ფინანსურ მდგომარეობაში, მოლოდინებში, საკრედიტო სანდოობაში, სტატუსში ან საქმიან ურთიერთობებში ზემოხსენებული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, დოკუმენტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების ან/და კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასშია აღწერილი და არ უნდა მოხდეს მათზე დაყრდნობა. თიბისი კაპიტალი არ იღებს ვალდებულებას განაახლოს დოკუმენტი ან გამოასწოროს მასში არსებული ნებისმიერი უზუსტობა, რაც შესაძლოა გახდეს აშკარა. დოკუმენტი შესაძლოა მოიცავდეს სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებულ განაცხადებს საოპერაციო შედეგებთან და სხვა მაჩვენებლებთან მიმართებაში. ნებისმიერ სამომავლო შეხედულებასთან დაკავშირებული განაცხადი, რომელიც მოიცავს განაცხადს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობილი განაცხადის გარდა, მოიცავს ნაცნობ და უცნობ რისკებს, მერყეობას და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თიბისი კაპიტალის კონტროლის მიღმაა და რომელთაც შესაძლოა ისე შეცვალონ ფაქტიური შედეგები, ეფექტურობა ან მიღწევები რომ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სამომავლო შედეგებისგან, ეფექტურობისგან ან მიღწევებისაგან, რომლებიც შეიძლება გამომდინარეობდეს ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადებიდან. ასეთი სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები ეფუძნება მრავალ დაშვებას არსებულ და სამომავლო ბიზნეს სტრატეგიებთან და სამომავლო საოპერაციო გარემოსთან დაკავშირებით. თავისი ხასიათით, სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები მოიცავს რისკებსა და მერყეობას რადგან ისინი უკავშირდება მოვლენებს და დამოკიდებულია გარემოებებზე რომელთა სამომავლო არსებობა სათუოა. გარანტია ვერ გაიცემა, რომ დოკუმენტში არსებული სამომავლო შეხედულებებთან დაკავშირებული განაცხადები აღსრულდება. თიბისი კაპიტალი მიზნად არ ისახავს მსგავსი განაცხადები მომავალში განაახლოს. მოსაზრებები, პროგნოზები, შეფასებები ან/და განცხადებები, რომლებიც დაკავშირებულია სამომავლო მოვლენების მოლოდინებთან ან ინვესტიციების შესაძლო შესრულებასთან, წარმოადგენს თიბისი კაპიტალის საკუთარ შეფასებას და მისთვის ამჟამად ხელმისაწვდომი ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მესამე მხარის წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია მიიჩნევა სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ ინფორმაციის სისწორის ან/და სისრულის გარანტია. თიბისი კაპიტალს ან ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას იმ კომპანიებთან, რომლებიც განხილულია დოკუმენტში. შესაბამისად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე. დაუშვებელია დოკუმენტის რეპროდუქცია, განმეორებით გავრცელება ან გამოქვეყნება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი მიზნით, თიბისი კაპიტალის წერილობითი ნებართვის გარეშე. არც თიბისი კაპიტალი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი და არც მათი რომელიმე წარმომადგენელი ამ მხრივ არ იღებენ რაიმე სახის პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებებთან დაკავშირებით. თიბისი კაპიტალი არ გასცემს რაიმე სახის რწმუნებას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში და ცალსახად უარყოფს სავაჭრო მდგომარეობის ან შესაბამისობის ყველანაირ პირობას, რაც დოკუმენტში განხილულია კონკრეტული მიზნისთვის ან გამოყენებისთვის ნებისმიერი მონაცემის მიმართ. ზემოაღნიშნულის შეზღუდვის გარეშე და კანონის შესაბამისად, თიბისი კაპიტალი, ჯგუფის ნებისმიერი წევრი, და მათი ნებისმიერი წარმომადგენელი პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე სახის ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება პირდაპირ ან ირიბად, წარმოიქმნას დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ინფორმაციის სიზუსტესთან ან/და სისრულესთან დაკავშირებით), ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს დოკუმენტს ან რაიმე ქმედების ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ დოკუმენტის საფუძველზე

7 მარჯანიშვილის ქ., თბილისი 0102, საქართველო
ტელ: +995 32 2 272727 | +995 32 2 272733
Email: Research@tbccapital.ge
Email: Macro@tbcbank.com.ge
www.tbccapital.ge
www.investing.tbccapital.ge

თიბისი კაპიტალი

www.tbccapital.ge